PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ - ის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები:

გივი დოლიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ **ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება**

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

■ მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	40	0	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის **2021 წლის 17 სექტემბრის №937490 ბრძანებით, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ში (შემდგომში - კოლეჯი) განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება. წარმოების მიზანს წარმოადგენდა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება.** ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე **დამატებით** გამოთხოვილი დოკუმენტაცია. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება შედგა 2021 წლის 24 სექტემბერს, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, Zoom პლატფორმის გამოყენებით, ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.

კოლეჯმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი მოიპოვა **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2019 წლის 28 მაისის №116 გადაწყვეტილებით,** ხოლო **„თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა საბჭოს **2021 წლის 15 ივნისის №576705 გადაწყვეტილებით**, ამასთან, **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი 2.2 კომპონენტიდან გამომდინარე შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.** კერძოდ, კოლეჯს სრულად არ ჰქონდა შესყიდული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური აღჭურვილობა. შესაბამისად, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით დაინიშნა მონიტორინგი. **(იხ. საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის №575907 სხდომის ოქმი)** კოლეჯის მიერ 2021 წლის 7 სექტემბრის №873822 წერილით ცენტრში წარმოდგენილ იქნა შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე დისტანციური ჩართვის დროს დათვალიერდა პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი აღჭურვილობა და **2.2 კომპონენტის 2.2.1 ქვეკომპონენტის ინდიკატორების მტკიცებულებების შემოწმებითა და ინტერვიუირებით,** დადასტურდა რომ, პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი 2.2 კომპონენტთან, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

1. სასურველია, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში უმაღლეს განათლებასა და სამუშაო გამოცდილებასთან ერთად გაითვალისწინოს პროფესიული კვალიფიკაცია/განათლება.

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 30 აგვისტოს №834363 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება კოლეჯის„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სამუშაო აღწერილობაში," კერძოდ შეიცვალა აღნიშნული წესის მე -2 მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით „2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს: შესაბამისი უმაღლესი განათლება ან/და შესაბამისი პროფესიული განათლება ან/და პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის გამოცდილება (უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების გარეშე)." **შესაბამისად, რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**

2. სასურველია, ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალში, სასწავლო რესურსი წარმოდგენილი იყოს საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და ამასთან იძლეოდეს შესაბამის მოდულთან/მოდულებთან მარტივად იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

კოლეჯის მიერ აღნიშნული **რეკომენდაცია გათვალისწინებულია,** კერძოდ, ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალში, სასწავლო რესურსი იძლევა შესაბამის მოდულთან/მოდულებთან მარტივად იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

https://construct2.ge/students/students-room > ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი.

3.დაწესებულების „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის" 8.1.8 პუნქტის თანახმად „ელექტრონულ მატარებლებზე არსებული რესურსით სარგებლობა ბიბლიოთეკის მკითხველს შეუძლია მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერების გამოყენებით", რაც საკმაოდ მოუქნელს ხდის საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ ასევე უზრუნველყოს ელ. რესურსის მიწოდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით ან ელ. მატარებლით.

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 4 ივნისის №523535 ბრძანებით, განხორციელდა ცვლილება ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,კონსტრუქტ2ის“ „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში“, კერძოდ მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის 8.1.8 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ისარგებლოს ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსით, როგორც ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერების გამოყენებით, ასევე ელექტრონული სასწავლო მასალის ამობეჭვდით ან/და საკუთარ ელექტრონულ მატარებელზე გადატანით/ინტერნეტის მეშვეობით გადაგზავნით.“ **შესაბამისად, რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VIII. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IX. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 (6) დაწესებულებაში არსებული გარემო სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლით გაწერილია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ და ასევე მე-15 მუხლით „ ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა“. დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შესაბამისი პრაქტიკა, თუმცა მარეგულირებელ წესებში იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი, პირის/პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათალისწინებით. რაც გულისხმობს ამ პირების საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ადაპტირებული გარემოს მოწყობას, რომელიშიც სასწავლო ფართის ადაპტირების გარდა მოიაზრება: საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და შესაბამისი სპეციალისტების - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის სასწავლო პროცესის ჩართვას

ამასთან, სასურველია კოლეჯმა აღნიშნულ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის #170395 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქუჩა # 28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, ხოლო ჩართვისას განხორციელდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსის დათვალიერება. საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული სწავლების, ასევე ზოგადი მოდულისთვის „ინფორმაციული წიგნიერება 1“ განკუთვნილი აუდიტორიების აღჭურვილობა შესაბამისია დაწესებულების მიერ პროგრამაზე კვოტის განსაზღვრის დოკუმენტსა (დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N 170175 ბრძანებით განსაზღვრულ ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მატერიალური რესურსის გათვალისწინებით“) და პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალთან. სასწავლო გარემო სრულად აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით (კომპიუტერები, დემონსტრირების საშუალებები) 20 პროფესიულ (ორ ცვლაში 40 პროფესიულ სტუდენტზე). რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, სრულად ხორციელდება კოლეჯში, რის შესაძლებლობასაც იძლევა დაწესებულების მიერ პრაქტიკული კომპონენტისთვის მოწყობილი 100 კვ.მ ფართის სიმულაციური გარემო. როგორც საერთო მიმოხილვაში აღინიშნა, დაწესებულებას სრულად არ ჰქონდა შეძენილი აღჭურვილობა. კოლეჯის მიერ ამ ეტაპზე წარმოდგენილია შესყიდვის ხელშეკრულებები და შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტები, ასევე დისტანციური ჩართვისას განხორციელდა აღჭურვილობის ადგილზე დათვალიერება, რომლითაც დასტურდება, რომ კოლეჯს სრულად აქვს შესყიდული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღჭურვილობა.
შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი'' პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა განხორციელდა კონკურსის წესით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით შეირჩა 16 პირი. აქედან 11 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი, 3 - პროფესიული მოდულებისთვის, ხოლო 2 „ ქართული ენა A2”-სთვის . პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და გარდა სალექციო დროისა მოიაზრებს მოდულის შესაბამისი კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების შედგენას, პროფესიული სტუდენტების კონსულტირება-შეფასებას და სხვა. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. შესწავლილ იქნა პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პროფესიული განათლების მასწავლებლებს უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. მათ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა ტრენინგები. ინტერვიუირებისას პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება, ისინი ასევე წარმოადგენენ დაწესებულების მიერ ამავე დასახელების მომზადება-გადამზადების მასწავლებლებს/ინსტრუქტორებს, **შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა საგანმანთლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შერჩეულია პირი, რომელიც ფლობს ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს მშენებლობაში და თაბაშირ-მუყაოსა და მღებავის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციებს. გარდა ამისა აქვს „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ სწავლების გამოცდილება, როგორც კოლეჯში „კონსტრუქტ2“, ისე სხვა პსდ-ში, რაც დასტურდება პირად საქმეში წარმოდგენილი ცნობებით.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები აღწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა“. დოკუმენტით დადგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, როგორიცაა: პროგრამის ადმინისტრირების პროცესის კოორდინირება; შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და მათდმი დადგენილი მოთოვნებისა და პროცედურების განხორციელების უზრუნველყოფა და ვალიდაციის შემთხვევაში მისი დადასტურება, გარდა იმ ინსტრუმენტისა, რომლის ავტორიც თავადაა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირება შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ; სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში; შესრულების მტკიცებულებების შეგროვების-შენახვის უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესის/პრაქტიკის მენეჯერისთვის გადაცემა; სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების პროცესების საორგანიზაციო პროცესებში ჩართულობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, შეცვლასა და დანერგვაში მონაწილეობა; მოდულის კალენდარული გეგმის შემუშავება, განხორციელებული მოდულის შეფასება და სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროცესის/პრაქტიკის მენეჯერებისთვის წარდგენა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობებში ჩართულობა; აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობები ასევე გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში (#08-14 23.02.2021 წ,), დარგობრივი ექსპერტის მიერ მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, პროგრამის/მოდულის შინაარსის, სწავლებისა და შეფასების შესახებ. როგორც გასაუბრებით, ისე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, **საგანმანათლებლო პროგრამას კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. დისტანციური შეხვედრისას, ექსპერტების მიერ დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიტერული ტექნიკით (კომპიუტერით, კომბაინით (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი)) უწყვეტი ინტერნეტკავშირით.
დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. ვიზუალური შემოწმებისას დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. წარმოდგენილი სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მისაღწევ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკას ემსახურება კვალიფიციური ბიბლიოთეკარი.

პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული სახით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის/მკითხველის უფლებები. წესი და წიგნადი ფონდის, მათ შორის ელექტრონული, ჩამონათვალი, განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალის შესაბამისი მოდულების მითითებით. **შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. დაწესებულებაში არსებული გარემო სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლით გაწერილია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ და ასევე მე-15 მუხლით „ ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა“. დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შესაბამისი პრაქტიკა, თუმცა მარეგულირებელ წესებში იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი, პირის/პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათალისწინებით. რაც გულისხმობს ამ პირების საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ადაპტირებული გარემოს მოწყობას, რომელიშიც სასწავლო ფართის ადაპტირების გარდა მოიაზრება: საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და შესაბამისი სპეციალისტების - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის სასწავლო პროცესის ჩართვას. **ამასთან, სასურველია კოლეჯმა აღნიშნულ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად)**

7. დაწესებულების დამფუძნებლები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შპს „ბკ ქონსთრაქშენი“. წესდებით განსაზღვრული დაფინანსების წყაროები შესაძლოა იყოს დამფუძნებელთა ფულადი და არაფულადი შენატანები, ასევე სახელმწიფოს მხრიდან როგორც ვაუჩერული, ისე მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება, საგანმანათლებლო საქმიანობით მიღებული შემოსავალი, რითაც დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულების მიერ შედგენილია პროგრამის ფინანსური ბიუჯეტი, ასევე განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 12 პროფესიული სტუდენტი. **შესაბამისად, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.** აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მიღებისათვის პროგრამაზე გამოცხადებული ადგილებიდან (20) დარეგისტრირდა 16 აპლიკანტი, ამ ეტაპზე სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიმდინარეობს რეიტინგული სიის ფორმირების პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დამტიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის #170395 ბრძანებით)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით;
- დაწესებულების ბიუჯეტით
- ინტერვიუირებით;
- დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი

11.10.2021

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: